

„21 დღე უფრო კრეატიული ცხოვრებისკენ“...
სასკოლო პროექტი

პრობლემა/აქტუალობა:

გლობალიზებულ და ციფრული ტექნოლოგიებით მართულ 21-ე საუკუნეში მსოფლიოს ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური დოვლათის უმნიშვნელოვანეს ნაწილად დღეს შემოქმედებითობა, ინოვაცია და მეწარმეობა იქცა. საკუთარი ნამუშევრის დაცვა და სხვისი ნამუშევრის პატივისცემა სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს მოქალაქეთა პროფესიულ თუ პირად ცხოვრებაში. ამიტომ ინტელექტუალური საკუთრების ძირითადი პრინციპების ცოდნა, საკუთარი უფლებების გააზრება, ინტელექტუალური პოტენციალიდან ფინანსური, სოციალური თუ კულტურული სარგებელის მიღება ღრმად უნდა იყოს ჩაშენებული ჩვენი მომავალი თაობების განათლებაში.

პრობლემა/აქტუალობა:

დღეს ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესია შემოქმედებითი უნარების მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობა, რომელსაც შეუძლია გარემოსა და სოციალურ არსებულ პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტა. სკოლა კის სივრცეა, სადაც „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი: ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე: სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად“ (ზგემ)

ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემები:

- ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ბ) გარემოს დაცვა;
- გ) ჯანსაღი ცხოვრება;
- დ) სამოქალაქო უსაფრთხოება;
- ე) კონფლიქტების მართვა;
- ვ) ფინანსური წიგნიერება;**
- ზ) კულტურული მრავალფეროვნება;
- თ) ადამიანის უფლებები.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 8. ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სრული და პროდუქტიული დასაქმებისა და ღირსეული სამუშაოს ხელშეწყობა

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაცია და ინოვაციების ხელშეწყობა.



ევროპული კომპეტენციების ჩარჩო:



მთელი სიცოცხლის მაძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციები:

1. წიგნიერების (კითხვისა და წერის) კომპეტენცია
2. მულტილინგვურობის კომპეტენცია
3. მათემატიკის კომპეტენცია და კომპეტენცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიებსა და ინჟინერიაში
4. ციფრული კომპეტენცია
5. **პერსონალური, სოციალური და სწავლის (learning to learn) კომპეტენცია**
6. **მოქალაქეობის კომპეტენცია**
7. **სამეწარმეო კომპეტენცია**
8. კულტურული გაცნობიერებულობისა და გამოხატვის კომპეტენცია.

სამეწარმეო კომპეტენციების დისკრიპტორები



- ✓ ინიციატივის აღება
- ✓ სხვათა მობილიზება
- ✓ შესაძლებლობების განსაზღვრა
- ✓ ხედვა
- ✓ სხვებთან ერთად მუშაობა
- ✓ ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება
- ✓ რესურსების მობილიზება
- ✓ კრეატიულობა
- ✓ თვითეფექტურობა
- ✓ სწავლა გამოცდილების საფუძველზე
- ✓ მოტივაცია და შეუპოვრობა
- ✓ იდეების შეფასება
- ✓ დაგეგმვა და მართვა
- ✓ ეთიკური და მდგრადი აზროვნება
- ✓ ბუნდოვანების და გაუბედაობის რისკის გადალახვა

პროექტის მიზნები:

მოსწავლეებში:

ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელოვნების გაგება და სხვების შემოქმედების პარტიციპაცია; შემოქმედებით-კრეატიული აზროვნების, ინოვაციურობისა და მეწარმეობის უნარების

ამოცანები:

- ✓ გაკვეთილების ციკლის ორგანიზებისათვის V-VI კლასის დამრიგებელთა პროფესიული გადამზადება, ლიდერი მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება, კრეატიულობას, ინოვაციას, მეწარმეობასა და ინტელექტუალურ საკუთრებას შორის კავშირების, მათი საგანთაშორისი ტრანსფერის გადააზრება;
- ✓ გაკვეთილების ციკლის დაგეგმვა-ორგანიზება და ჩატარება სადამრიგებლო საათზე;
- ✓ მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობისათვის მათი ინტერსების მიხედვით, სხვადასხვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დღეების(წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე, ქალთა საერთაშორისო დღე, დედამიწის დღე, ბუნების დაცვის დღე და ა. შ) აღნიშვნა შესაბამისი აქტივობებით.
- ✓ ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის აღნიშვნა.

პროექტის შედეგები და გამოყენებადობა

1. მოსწავლეების მიერ შექმნილია კომპლექსური დავალებების ტიპის ნამუშევრები ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის ნორმების გათვალისწინებით; სხვისი რესურსების გამოყენების კულტურის დემონსტრირებით. ნამუშევრების საშუალებით ხდება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების დემონსტრირება. მოსწავლეთა ნამუშევრებს აქვთ მათ მიერვე შექმნილი სასაქონლო ნიშანი, ლოგო. მოსწავლეები გადიან გზას, თუ იდეა როგორ აქციონ გამოგონებად სხვადასხვა მიმართულებით - დაწყებული წერილობითი ნაშრომებიდან, დამთავრებული ნახატებით, მაკეტებით, სატელეფონო აპებით და სხვა, გამოგონება როგორ დააპატენტონ და აქციონ მომგებიან ბიზნესად.
2. კრეატიული დღიური მოსწავლეს ეხმარება გააკეთოს პროფესიული არჩევანიც.

მონიტორინგი:

- ✓ დაკვირვება სამუშაო პროცესებზე;
- ✓ დაკვირვება სადამრიგებლო საათზე;
- ✓ ინტერვიურება მოსწავლეებთან,
- ✓ ინტერვიუება მასწავლებლებთან.

ინდიკატორები

:

- ✓ ჩატრებულია სამუშაო შეხვედრები მასწავლებელთა სასწ. ჯგუფის ფარგლებში;
- ✓ სადამრიგებლო საათები 21 კრედიული აქტივობით;
- ✓ ჩატარებული გაკვეთილები 21 კრედიული აქტივობით დღიურიდან;
- ✓ წიგნის კითხვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- ✓ დედმიწის დღის აღნიშვნა;
- ✓ ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- ✓ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა;

გისურვებთ წარმატებებს!...

სსიპ ქალაქ გორის N8 საჯარო სკოლა, 2022წ.

ნანა ედიშერაშვილი